## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-638

10/05/2021

ქ. თბილისი

**„ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ერთჯაჭვა 500კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „ლაჯანური-წყალტუბოს“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-270 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-270 ბრძანებით გაიცა „ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ერთჯაჭვა 500 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „ლაჯანური-წყალტუბოს“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N21 (12.02.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

**,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ერთჯაჭვა 500კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „ლაჯანური-წყალტუბოს“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-270 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი